

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N5.1.17/30/121

ქ. თბილისი

21 დეკემბერი 2020 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გამგებლის - დავით კირკიტაძის სახით და, მეორეს მხრივ, შპს „კოდორი-2014“, საიდენტიფიკაციო კოდი: 402033376, მისამართი: ქ. თბილისი, ზელიაშვილის ქ. N40 (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის - მამუკა კვიციანიის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული შენობების ლითონის და ხის კიბეების (ლითონის მოაჯირით), ჭიშკრის და სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟისა და შეკეთება-რესტავრაციის (ტექნიკური დავალებით ან/და დეფექტური აქტით ან/და სქემატური ნახაზით ან/და მოცულობათა უწყისით შესასრულებელი სამუშაოები), რომელიც განსაზღვრულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით, თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.2 შესყიდვის საშუალება – ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე

2.3 ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი NAT200017535.

2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 64000.96 (სამოცდაოთხიათასი ლარი 96 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.5 კლასიფიკატორის კოდი - 45262000;

2.6 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტი მოწოდებული უნდა იყოს შემსყიდველის მიერ გაცემულ დავალებებში მითითებულ ვადებში. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2021 წლის 25 დეკემბერი.

3.2 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონის ტერიტორია.

3.3 მიმწოდებელმა ობიექტზე უნდა განათავსოს მინიმუმ 1 ცალი საინფორმაციო დაფა (100 სმ/80 სმ) შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად;

3.4 სამუშაოების დასრულების შემდეგ მომწოდებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, და ა. შ.

4. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

4.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს თითოეულ ობიექტზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელი.

4.2 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედი და ხელშეკრულებით განსაზღვრული სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს რაოდენობრივ, ხარისხობრივ და ლაბორატორიულ შემოწმებას ჩაატარებს ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია (მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი)

4.3 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუწის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუწი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

4.4 თუ მიმწოდებელი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შესრულებს თავის ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლისაგან მოითხოვოს დეფექტის აღმოფხვრის ხარჯი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი, ხოლო ტექნიკურ ზედამხედველობას ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (თანადაფინანსებული პროექტების განყოფილების უფროსი) - ირაკლი თუმანიშვილი; თანადაფინანსებული პროექტების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - გიორგი სტურუა და თანადაფინანსებული პროექტების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მიხეილ ლეჟავა.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. კერძოდ: შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით აწარმოოს სამუშაოების ხარისხის კონტროლი და ზედამხედველობა, კერძოდ: მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალების ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე. ასეთ შემთხვევაში, სამუშაოების შესრულების დროს მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გამოყენებული მასალების ლაბორატორიული დასკვნები და რეცეპტები, მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს. მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდება შემსყიდველთან ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“-ს მიერ ხელმოწერილი შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ფორმა N2 და ფარული სამუშაოების აქტები) წარმოდგენის შემდეგ.

6.2 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების 5.2 პუნქტით

განსაზღვრულ პირებთან მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი აქტი.

6.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.

6.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია შუალედური ფორმა №2-ის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6.6 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6.7 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში სამუშაოს ახალი პოზიციების წარმოქმნის შემთხვევაში, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა მოხდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან აკრედიტაციის ცენტრში აკრედიტებული სხვა პირის მიერ გაცემული დასკვნით განსაზღვრული ახალი პოზიციის ერთეულის ფასის ფარგლებში. ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას აანაზღაურებს მიმწოდებელი.

6.8 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში სამუშაოს ახალი პოზიციების წარმოქმნის შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან აკრედიტაციის ცენტრში აკრედიტებული სხვა პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას აანაზღაურებს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, გარდა შემთხვევისა, როდესაც მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის. ამ შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოს შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ.

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შესყიდვის ობიექტის დავალებით განსაზღვრული მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს დაგვიანებით მიწოდებული სამუშაოების ფაქტიური ღირებულების 0.3%-ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3 შესყიდვის ობიექტის დავალებით განსაზღვრული მიწოდების ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტით გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში, მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით და ხელშეკრულება ჩაითვლება შეუსრულებლად.

8.4 მიმწოდებლის მიზეზით შესყიდვის ობიექტის არასათანადო ხარისხით შესრულების შემთხვევაში, თუ ამ მიზეზის მიუხედავად, შესაძლებელია შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება,

მიმწოდებელი დაჯარიმდება მიწოდებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 1,0%-ს ოდენობით.

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

8.6 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს მოთხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,02%-ს ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მოხდა შემსყიდველისაგან დამოუკიდებელი მიზეზით.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;
- ბ) სამუშაოების არასრული მოცულობით ან/და არასათანადო ხარისხით შესრულების შემთხვევაში, თუ ამ მიზეზით შეუძლებელია მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება.
- გ) მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის დავალებით განსაზღვრული მიწოდების ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტით გადაცილების შემთხვევაში.
- დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან

წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

11.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

11.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.

11.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

11.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

11.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ღირებულების შეცვლის პირობები

13.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

13.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

13.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით.

ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

15.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

15.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

მთაწმინდის რაიონის გამგეობა

ს/კოდი: 204521954

მის: მმ. ზუბალაშვილების ქ. №20

ხაზინის ერთიანი ანგარიში

სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი TRESGE22

დავით კირკიტაძე



შპს „კოდორი-2014“

ს/კ: 402033376,

მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. N40

სს „თბილისი ბანკი“

ა/ა № GE92TB7978236050100002

ბანკის კოდი TBCBGE22

მამუკა კვიციანი

N5.1.17/30/121 ხელშეკრულების
დანართი

მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე ბინათმშენებლობითი აქტივობების საერთო საკუთრებაში არსებული, შენობების საერთო
სარგებლობის ლითონის და ხის კიბეების (ლითონის მოაჯირებით), ჭიშკრის აღდგენის, სადარბაზოს კარების დამზადება-
მონტაჟისა და შეკეთება-რესტავრაციის სამუშაოები

| | მასალებისა და სამუშაოთა ჩამონათვალი | განზ. ერთ. | რაოდ. | ერთეულის ფასი | ჯამი |
|----|--|----------------|-------|---------------|----------|
| 1 | სადარბაზოს (ლითონის) ძველი კარების/ ეზოს ჭიშკრის დემონტაჟი | მ ² | 180 | 12.00 | 2160.00 |
| 2 | სადარბაზოს (ლითონის) კარის დამზადება და მონტაჟი, საერთო სარგებლობის ეზოს ჭიშკრის კარების აღდგენა | მ ² | 180 | 80.00 | 14400.00 |
| 3 | ლითონის ფურცელი (სისქით არნაკლებ 2 მმ) | მ ² | 80 | 55.00 | 4400.00 |
| 4 | მილი კვადრატი 60X60X2.5 | გრძ.მ | 15 | 0.10 | 1.50 |
| 5 | მილი კვადრატი 100X100X3 | გრძ.მ | 15 | 0.10 | 1.50 |
| 6 | მილი კვადრატი 80X80X2 | გრძ.მ | 15 | 14.00 | 210.00 |
| 7 | მზა რკინის ღეროები კარის ჩარჩოს გასამაგრებლად 12 მმ | გრძ.მ | 15 | 2.40 | 36.00 |
| 8 | კარის პეტლი | ცალი | 80 | 6.00 | 480.00 |
| 9 | დ - (10-12) მასიური ფოლადის ღერო ("შპინგალეტი") კარის ჩასაკეტად | გრძ.მ | 3 | 3.00 | 9.00 |
| 10 | საკეტი კოდირებული | ცალი | 15 | 80.00 | 1200.00 |
| 11 | კარის საკეტი (ჩვეულებრივი გასაღებზე) | ცალი | 5 | 60.00 | 300.00 |
| 12 | მინა არანაკლებ 4 მმ (ზომებზე დაჭრით) | მ ² | 10 | 20.00 | 200.00 |
| 13 | ელექტროდი | კგ | 3 | 5.00 | 15.00 |
| 14 | რკინის ზოლოვანა (მინ 3 მმ) | გრძ.მ | 40 | 3.50 | 140.00 |
| 15 | რკინის საჭრელი ქვა | ცალი | 5 | 8.00 | 40.00 |
| 16 | კარის ავტომატური ჩამკეტი ("შვეიცარი") მონტაჟით | ცალი | 15 | 80.00 | 1200.00 |
| 17 | მილი კვადრატი 40X40X3 | გრძ.მ | 15 | 5.00 | 75.00 |
| 18 | მილი კვადრატი 40X20X2 | გრძ.მ | 15 | 4.00 | 60.00 |
| 19 | მილი კვადრატი 20X20X2 | გრძ.მ | 15 | 3.00 | 45.00 |
| 20 | მილი კვადრატი 15X15X2 | გრძ.მ | 15 | 2.50 | 37.50 |
| 21 | მილი კვადრატი 40X60X2 | გრძ.მ | 15 | 6.00 | 90.00 |
| 22 | მილი კვადრატი 100X40X2.5 | გრძ.მ | 15 | 9.00 | 135.00 |
| 23 | მილი კვადრატი 20X40X2.5 | გრძ.მ | 15 | 0.10 | 1.50 |
| 24 | რკინის კარის დამუშავება და შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორ პირზე (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით) | მ ² | 360 | 7.00 | 2520.00 |
| 25 | ბეტონის კედლების გახვრეტა | წერტ. | 16 | 15.00 | 240.00 |
| 26 | კარების შემდეგ ღიობების ამოლესვა გაჯით (შეღებვით) | გრძ.მ | 10.00 | 15.00 | 150.00 |
| 27 | გაჯი დაფქული (1გრ*0,15*0,03)*0,48 | ტ | 0.03 | 90.00 | 2.70 |

| | | | | | |
|----|--|----------------|--------|--------|---------|
| 28 | საღებავი (ფერი დამკვეთან შეთანხმებით) | კგ | 100.00 | 0.20 | 20.00 |
| | საერთო სარგებლობის ლითონის კიბეების აღდგენა | | | | 0.00 |
| 29 | ძველი ლითონის კიბისა და მოაჯირის დემონტაჟი | მ ² | 80 | 12.00 | 960.00 |
| 30 | ლითონის კიბის კონსტრუქციის მონტაჟი | ტ | 2 | 640.00 | 1280.00 |
| 31 | ლითონის ფურცელი (სისქით არნაკლებ 2 მმ) | მ ² | 25 | 0.10 | 2.50 |
| 32 | შველერი (10) (კიბის საფეხურების საყრდენად) | გრძ.მ | 26 | 0.10 | 2.60 |
| 33 | რკინის ზოლოვანა (მინ3 მმ) | გრძ.მ | 30 | 3.50 | 105.00 |
| 34 | მილი კვადრეტი 40X40X3 | გრძ.მ | 10 | 5.00 | 50.00 |
| 35 | მილი კვადრეტი 40X20X2 | გრძ.მ | 10 | 4.00 | 40.00 |
| 36 | მილი კვადრეტი 20X20X2 | გრძ.მ | 10 | 3.00 | 30.00 |
| 37 | მილი კვადრეტი 15X15X2 | გრძ.მ | 10 | 2.50 | 25.00 |
| 38 | მილი კვადრეტი 40X60X2 | გრძ.მ | 10 | 6.00 | 60.00 |
| 39 | მილი კვადრეტი 100X40X2.5 | გრძ.მ | 10 | 9.00 | 90.00 |
| 40 | მილი კვადრეტი 20X40X2.5 | გრძ.მ | 10 | 0.10 | 1.00 |
| 41 | მილი კვადრეტი 60X60X2.5 | გრძ.მ | 10 | 0.10 | 1.00 |
| 42 | მილი 105 X 3 მმ | გრძ.მ | 10 | 18.00 | 180.00 |
| 43 | მილი კვადრეტი 100X100X3 | გრძ.მ | 9 | 0.10 | 0.90 |
| 44 | მილი კვადრეტი 80X80X2 | გრძ.მ | 9 | 14.00 | 126.00 |
| 45 | ლითონის "შლიფოფკის" ქვა | ცალი | 8 | 8.00 | 64.00 |
| 46 | მილი 50X3 | გრძ.მ | 14 | 10.00 | 140.00 |
| 47 | მავთ.ბადე 4X4 მმ | მ ² | 20 | 20.00 | 400.00 |
| 48 | კუთხოვანა ("უგოლნიკი") 160X160 3 მმ | გრძ.მ | 9.00 | 0.05 | 0.45 |
| 49 | კუთხოვანა ("უგოლნიკი") 35X35 3 მმ (მოაჯირზე ბადის ჩასასმელად) | გრძ.მ | 3 | 5.00 | 15.00 |
| 50 | კუთხოვანა ("უგოლნიკი") 50X50 3 მმ (მოაჯირზე ბადის ჩასასმელად) | გრძ.მ | 3 | 8.00 | 24.00 |
| 51 | კუთხოვანა ("უგოლნიკი") 30X30 3 მმ (მოაჯირზე ბადის ჩასასმელად) | გრძ.მ | 3 | 6.00 | 18.00 |
| 52 | ქვიშა ცემენტის ხსნარი მ100(მოწყობით) | მ ³ | 2 | 50.00 | 100.00 |
| 53 | ლითონის კიბის მოაჯირის მონტაჟი | მ ² | 80 | 0.01 | 0.80 |
| 54 | კიბის საფეხურების მონტაჟი რეფლიონით (ბაქნის და საფეხურებისათვის, საჭიროების შემთხვევაში მოხრით) 4მმ | მ ² | 50 | 65.00 | 3250.00 |
| 55 | კიბის, საფეხურების და მოაჯირის დამუშავება-შეღებვა ნიტრო საღებავით | მ ² | 70 | 8.00 | 560.00 |
| 56 | ლითონის "ორტესებრი" ძელის (#10-12-14) შექმნა მონტაჟი | გრძ.მ | 3 | 45.00 | 135.00 |
| 57 | ახალი ლითონის მოაჯირის მოწყობა (მილ კვადრატით) | მ ² | 20 | 35.00 | 700.00 |
| 58 | ელექტროდი 0.1 | კგ | 2 | 5.00 | 10.00 |
| 59 | მილ კვადრეტი (60*40) სისქით 2 მმ. | გრძ.მ | 10 | 7.00 | 70.00 |
| 60 | მილ კვადრეტი (40*20) სისქით 2 მმ. | გრძ.მ | 15 | 4.50 | 67.50 |
| 61 | მილ კვადრეტი (40*40) სისქით 2 მმ. | გრძ.მ | 15.00 | 0.10 | 1.50 |
| 62 | მილ კვადრეტი (50*30) სისქით 2 მმ. | გრძ.მ | 10 | 4.00 | 40.00 |
| 63 | მოაჯირის შეღებვა ზეთოვანი საღებავით | მ ² | 10 | 12.00 | 120.00 |
| 64 | ზეთოვანი საღებავი (2 ფენისთვის) კ.=0.273 შეღებვით | კგ | 20 | 10.00 | 200.00 |
| 65 | ძველი ლითონის არსებული მოაჯირის აღდგენა, რემონტი ელ-შედულებით | მ ² | 50 | 10.00 | 500.00 |
| 66 | ელექტროდი 0.1 | კგ | 38 | 5.00 | 190.00 |

| | | | | | |
|----|--|----------------|-------|-------|----------|
| 67 | არმატურა დ-12 | გრძ.მ | 25 | 3.00 | 75.00 |
| 68 | ზოლოვანა 0.025*0.002 | გრძ.მ | 25 | 3.00 | 75.00 |
| 69 | ზოლოვანა 0,40*0,03 | გრძ.მ | 25.00 | 0.10 | 2.50 |
| 70 | მოაჯირზე ხის სახელურის მოწყობა | გრძ.მ | 25 | 5.00 | 125.00 |
| 71 | სახელური ხის ოვალური ზედა თავი ზომით 0.05*0.03 მ (მშრალი მასალა) | გრძ.მ | 25 | 15.00 | 375.00 |
| 72 | ხის სახელურის შეღებვა ლაქით | მ ² | 2.8 | 5.00 | 14.00 |
| 73 | ლაქი 0.21 | ჰგ | 0.6 | 15.00 | 9.00 |
| 74 | ლითონის არსებული მოაჯირის აღდგენა, რემონტი ელ შედუღებით (არმატურა F ფ12 გამოყენებით) | მ ² | 100 | 0.01 | 1.00 |
| 75 | კიბის გადახურვის ფენილის მოხსნა | მ ² | 150 | 0.8 | 120.00 |
| 76 | ხის კარკასის დემონტაჟი | მ ³ | 4 | 4.88 | 19.52 |
| 77 | ხის კარკასის მოწყობა კიბის გადახურვისთვის | მ ² | 150 | 0.46 | 69.00 |
| 78 | კიბის გადახურვის ფენილის მოწყობა ფერადი პროფფენილით | მ ² | 150 | 22 | 3300.00 |
| 79 | კიბის ძველი ხის საფეხურების დემონტაჟი | ცალი | 200 | 1.5 | 300.00 |
| 80 | კიბის ძველი ხის სამკუთხედების დემონტაჟი | ცალი | 200 | 1.5 | 300.00 |
| 81 | კიბის ხის საფეხურის მოწყობა | მ ² | 100 | 15 | 1500.00 |
| 82 | კიბის ხის სამკუთხედების მოწყობა | მ ² | 40 | 16 | 640.00 |
| 83 | მასალის და გამზადებული კონსტრუქციის ტრანსპორტირება | ს/გეზი | 20 | 50.00 | 1000.00 |
| | ჯამი | | | | 45654.97 |
| | ზედნადები ხარჯები | 10% | | | 4565.50 |
| | ჯამი | | | | 50220.47 |
| | გეგმიური დაგროვება | 8% | | | 4017.64 |
| | ჯამი | | | | 54238.10 |
| | დღგ | 18% | | | 9762.86 |
| | ჯამი | | | | 64000.96 |

შემსყიდველი:

დავით კირკიტაძე



მიმწოდებელი:

მამუკა კვიციანი